2 მარტი, 1908 წ

ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტ. ჟურნალი



# ეშმაკის მათრახი



№ 20




ანდრონიკოვი. ნიკოლაძე.

მეზობლები.

(იხ. მე-2 გვ.)

## მეზობლები.

(მიბაძვა).

ივანე შეხვდა ნიკოსა
და უთხრა: „სეხნი ჯალაბო,
ნეტა ვიცოდე სად იყავ,
საიდან მოჩანჩალობო?
— მე მოვჩანჩალობ კი არა,
მოვდივარ დატვირთულიო,
პეტერბურგს ვიყავ, ფოთისთვის
ურიცხვი მომაქვს ფულიო.
ბევრი წვალება გავწიე,
ბევრი ტანჯვა და შფოთიო,
მარა გავაძღე ფულებით
ჩემი სავანე—ფოთიო.
საკაპეიკო „პოშლინა“
„სბორებათ“ წოდებულიო—
ასი ათასი თუმანი
ზურგზე მაქვს მოდებულიო.
ამას ფოთელებს მივუტან,
მივუსალამებ შორითო.....
შენ საით მიემგზავრები
მაგ ცარიელი ტომრითო?
— პეტერბურგს მივალ, ეგების
ვიშოვო ორი გროშიო,
რომ ჩემ ბათუმსაც ვარგო, რამ
ამ კრიზისობის დროშიო
— კარგია, მამა გიცხონდა,
სად შენ და სად ფულებიო,
რომ შენ იქ საქმე მოაწყო,
ისე არ მეგულებიო.
ამიტომ უკან დაბრუნდი,
სად მიხვალ, ან რაზედაო,
უფულოთ გამობრუნდები
მერწმუნე ამაზედაო.
იქ რაც რამ მოიძეოდა
აგერ მაქვს, შეხე, ზურგშიო
და შენ რა ჰლაკვი დაგხვდება
იმ ცოდვილ პეტერბურგშიო.
— მე განა შენზე ნაკლე ვარ
და ცოტა მიცნობს ერიო,
რომ უკან გამომაბრუნონ
უფულოთ, ცალიერიო?!
— მიბრძანდი!... რაზე დაგიშლი!...
ვითომ და რატომ არაო!
მარა კი ნახავ მოგქონდეს
უფულოთ ეგ ტომარაო.

ბლიკვაძე.



## ეშმაკის მოგზაურობა.

ორშაბათი კვიმატი დღეა. ამ დღეს კეთილ მორწმუნე იმერელი კაცი შინიდან ფეხს არსად გადასდგამს, არავის არაფერს მიყიდის და მით უმეტეს არაფერს ასესხებს და ათხოვებს. „ჭეშმარიტიმერელი“ მოხელე ორშაბათობით ალბათ „გამოსარჩენსაც“ არ იღებს მოყვასთა თვისთაგან.

**ტრამვაიზე**

აი ასეთი დღე ავირჩიე ჩემი მოგზაურობისათვის და ნურას უკაცრავათ თუ მოგზაურობაც კვიმატი და ახირებული გამოდგეს. ის მსუქანი ქალბატონი, რომელიც ჩემს ახლო იჯდა ტრამვაის ვაგონზე და რომელიც „იმერლობას“ უკიდურესი ქართველი პატრიოტიც ვერ შესწამებდა, კვიმატი ვინმე გამოდგა. ამოიღო ქისიდან ბილეთის ფული და იმის მაგივრათ, რომ კონდუქტორისათვის გადაეცა, სკამეიკაზე დააგდო. კონდუქტორმა იწყინა ასეთი მოპყრობა და ქალბატონს შენიშვნა მისცა. ქალბატონმაც იწყინა კონდუქტორის შენიშვნა და უზრდელი უწოდა. კონდუქტორმაც იწყინა უზრდელის დაძახება და ქალბატონსაც უზრდელი უწოდა. ეს საინტერესო კამათი რკინის გზის სადგურამდე გაგრძელდა. ისეთი დასკვნა გამოვიტანე, რომ თუ არ ქალბატონის მდედრობითი სქესოვანება და მასთან „კვიმატი“ ორშაბათი, ერთი მათრახის კუდი კი ეკადრებოდა ცრუ მედიდურობისათვის და მედიდური ცრუმორწმუნოებისათვის.

**რკინის გზის ვაგონში.**

ჩვეულებისამებრ მატარებელმა დღესაც დაიგვიანა და თორმეტი საათის მაგივრათ სწორეთ შუადამეზე დავიძარით თფილისის სადგურიდან. ვაგონებში ისეთი ხალვათობა იყო, როგორიც დღევანდელ სატუსაღოებში მოგეხსენებათ.

სივიწროვესთან ერთად საამური ბუნდოვანი სინათლე მიმკრთალი სანათისა უნებლიეთ გაფიქრებიებდა: „თფილისელ „იკარიელთა“ კრებაზე ვიმ-

ყოფებიო“. ვეერც სახეს ვხედავდი გარკვეულს ადამიანისას, არც საუბარი ისმოდა დასრულებული.

— მაშინ სულ სხვა პირობებში ვიყავით, მომესმა უცნობ უჩინარის ჩუმი ხმა.

— ციმბირის რკინის გზას არ შეეძლო იმაზემეტი გაეკეთებინა, რის გაკეთებაც შეეძლო და რა გასაკვირია ისეთ დღეში ჩავცვინულიყავით.

— არც ახლანდელი მდგომარეობაა განსაკუთრებით ხელ-საყრელი, გამოეხმაურა მეორე უჩინარუცნობი, მართალია მაშინ სხვა და სხვა პირობები გვიშლიდენ ხელს, მაგრამ სამაგიეროთ მაშინ დამარცხება არ გვქონდა გამოცდილი.

— გამოცდილება საუკეთესო მასწავლებელია, შენიშნა პირველმა ხმამ..ახლა პური მაინც გვექნება და საღდათს მეტი რა უნდა!.....

— ვფიქრობდი მთელი ოჯახი აკლებული იქნება მეთქი და დახეთ ჩემს გაკვირვებას, როცა ცოლშვილი მხიარულათ დამიხვდა სახლის აივანზე. . მოისმა მეორე მხრიდან დაბალი ბოხი ხმა ვიღაც, ალბათ, მსუქანი კაცისა, მართალია სახლი გაეტეხათ, მაგრამ, გარდა ბერდანკისა და რევოლვერისა, არაფრისათვის ხელი არ ეხლოთ, დაუმატა მანვე.

— იქნებ არაფერი იყო წასაღები, შეეკითხა ქალის ხმა.

— როგორ არა იმავ უჯრაში, რევოლვერთან ერთად 700 მანეთი იდო· ოთახშივე იყო ჩემი ოქროს საათი და სხვა ძვირფასი ავეჯეულობა. მარტო ერთი ბალიში წაეღოთ ვითომ კვალის ასაბნევათ, მაგრამ ისიც ეზოში დაეგდოთ.

უცებ ვაგონის შორეული განყოფილებიდან მოისმა ახალგაზრდა ქართველი ჩინოვნიკის ხმა, რომელიც განსაცვიფრებელის გრძნობითა და თავდავიწყებით კითხულობდა „ნიშადურის“ უკანასკნელი ნომრიდან ერთ საუცხოვო ლექსს, სადაც სამშობლოს' სისხლით მორწყვაზე იყო ლაპარაკი.

მოსაუბრეთა რიცხვი თანდათან კლებულობდა, ხოლო ნაშვაღამევის ორ საათზე მხოლოთ მე მეღვიძა მთელს ვაგონში.

**ქუთაისში.**

ქუთაისის მთავარი ქუჩა, ნამდვილი მაჩვენებელია ქალაქის მამათ მიმართულებისა და ვინ არ იცის, რომ ფანცხავასი და ძმათა მისთა მიმართულება ერთობ ოღრო-ჩოღროა. ვინაიდან ეტლით ამ გზაზე მოგზაურობა ძლიერ სახიფათოა, ამიტომ ქვეითად ვინებე გასეირნება. მე ძლიერ მიყვარს სხვა და სხვა „პრიკლიუჩენიები“ და არც დავრჩი უმადური ჩემი გადაწყვეტილებისა.

**„ექსპოპრიაცია“.**

საიდან იყო, სად არა, მოულოდნელათ სამი ახალგაზრდა წამომეფეთა და ცეცხლმფრქვეველი იარაღის სასიამოვნო პიროვნება ზედ თავზე მომაბჯინეს. ცხადი იყო შეხედულობით ვაჭარს მიმამზგავსეს და ძლიერ განცვიფრებულნი დარჩენ, როცა თვინიერ მათრახის კუდისა არაფერი აღმოაჩნდა.. შემდეგ მოკლე და ჩუმი ლაპარაკისა ყველანი მიიმალენ და ჯერაც ვერ გამიგია დამცემნი იყვენ თუ „დამცველნი“.

**საზოგადოთ და კერძოთ.**

საზოგადოთ მთელი ქალაქი მძიმე ჭახრაკში მეჩვენა მომწყვდეული. ბულვარი ცალიერი, ქუჩები ცალიერი, მაღაზიები ცალიერი, მაგრამ კერძოთ ვერსად გადავეყარე ვერც ერთ ძველ ნაცნობს. ცხადი იყო ქუთაისს ენერგიულათ სწმენდდენ ,,შინაურ მტერთაგან'', რაიცა ნეტარების ღიმილს აღბეჭდავს ქუთათურ ,,ჭეშმარიტ ქართულ'' შუბლებზე. ,,ფარეული'' ,,სოციალისტები'' თავს ისე გრძნობენ, როგორც ,,ყველი ერბოში'' ანუ ვითარცა ,,თევზი წყალში'', მეტადრე მღვრიე წყალში.

**ებრაელთა უბანში.**

„შენდებოდეს შეეწიე
იქცეოდეს შეესიე“.

ეს ანდაზა შაბათ დილას გამახსენდა და მიზეზიც მქონდა. სხვაგან სად სწყალობს ებრაელებს ბედი, რომ ქუთაისში ულიმოდეს?! რასაკვირველია არსად.

მართალია მიყვარს ცეცხლი, მაგრამ სხვა და სხვა გარემოებათა მიხედვით მე არ დავსწრებივარ ებრაელთა უბნის გადაბუგვას, მაგრამ იმათ შესახებ, ვინც დაესწრენ თამამათ ითქმის ზემორე ამისა აღნიშნული ანდაზა. რაიცა შეეხება ქალაქის ადმინისტრაციას, ის ენერგიულათ და თავგანწირვით იცავდა პოლიციის შენობას, რითაც მართლა გადაარჩინეს ულმობელ ცეცხლს იმდენი ,,საქმის'' ქაღალდები. ებრაელთა სახლები კი ალმა ჩანთქა, ხოლო გადარჩენილი ქონების დიდი ნაწილი ,,საზოგადოებამ'' ,,შეინახა''.

მე რომ მივედი პოლიციელნი, გარდა რამოდენიმე სტრაჟნიკებისა იქ აღარ იყვენ. მნახველი ხალხი მრავლად ირეოდა და პატარა ქუჩის ბიჭები გულმოდგინე ქათმებივით იქექებოდენ სახლის ნამწვავებში.

**ფერმაში.**

ქუთაისში ჩახვიდე და ფერმა არ ინახულო ერთობ დიდი სირცხვილია, თუმცა არც ეს მგზავრობაა უშიშარი და უხიფათო. სამეურნეო სკოლა მზის ჩასვლის შემდეგ ჩაკეტილია თავის ფარგლებში და ექიმისთვის რომ მიდიოდე, პოლიციაში მიხვალ.

**მფარველი ანგელოზი.**

თუ გამოიყვანა აღნიშნული სკოლა ამა ვითარი მდგომარეობისაგან, ეს ისევ მისმა ძველმა მფარ-

ველმა ანგელოზმა, ,,კურნაოზათ'' წოდებულმა. მართალია ,,ანგელოზი'' ესე თვინიერ ნებისა თვისისა გაძევებულ იქმნა ამ დაწესებულებიდან, მაგრამ ახლა ხომ ,,გაზაფხული'' დაუდგა და კვლავ გაახსენდა თავისი ძველი საბუდარი.

**„კოლხიდას“ კანტორაში.**

„კოლხიდას“ კანტორა, „საუკეთესო პოზიციაა ქუთათურ „ინტელიგენციის“ დასათვალიერებლათ. მეც რასაკვირველია იქითკენ გავემართე და ჩემთვის კუთხევში მივჯექი.

კანტორაში ხალხი ბლომათ იყო, მაგრამ ჩემი ყურადღება „წმინდანთა“ შორის შერიცხულმა კირილემ მიიპყრო. ის გაცხარებით ებაასებოდა ვიღაც ჩიბუხოვან მოხუცს, რომელსაც ძლიერ შეეფერებოდა სახელი „მეთოდე“.

— ეს ბავშვური ბროშიურაა. მეტი არაფერი, წარმოსთქვა კირილემ და „მეთოდიმაც“ თანხმობის ნიშნად ჩიბუხიანი თავი დაიქნია.

— ან მისი „ქართული ლიტერატურ ს“ ისტორია რასა გავს? ვინც კი ორი ლექსი დასწერა, ყველა მწერლებათ მონათლა.

ცხადი იყო კამათი ხახანოვის ბროშიურაზე ქონდათ, ვინაიდან „წმინდა“ კირილე და მეთოდი უმთავრესათ „ისარის“ ენით ლაპარაკობდენ.

— ჩემი „ნაკადული“ თუ მიიღეთ? შეეკითხა ახლად შემოსული ორ ბავშვიანი მანდილოსანი კანტორის გამგეს.

— არ მივვიღია ქ-ნო.

— საკვირველია ღმერთმანი! აი წაიკითხეთ... და გადასცა ღია წერილი.

კანტორის გამგემ წაიკითხა და სახეზე დიდი დაღრეჯილობა დაეტყო.

— თქვენი ნომერი არ მიგვიღია ქ ნო, ხოლო რაიცა შეეხება „ნაკადულის“ რედაქციას, ვეცდები პასუხი გავსცე უცხო პირთან კერძო წერილით გალანძღვისათვის. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ზოგიერთები ორ-სამ კაცს აგზავნიან და ხშირათ სხვისი გაზეთებიც მიაქვთ ხოლმე.

— უკაცრავათ ბ ნო, ექიმი ბადრიძის ცოლი იმას არ იკადრებს, რომ სხვისი გაზეთი წაიღოს, ან მეორეთ მოითხოვოს.

ეს კამათი დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ მე ყური აღარ მიგდია, ან კი რა საინტერესოა „ნაკადულის“ რედაქციის საქმეთა მოსმენა. მეც ბულვარისკენ გავემართე.

ბულვარში.

ყველაფერი წახედულობით არის, თორემ გაგოიცებს ადამიანს, როცა ხედავ ამდენი ქალი და კაცი გაჩვეული ჯარის ცხენებსავით უვლიან გატკეპნილი გზებით ბულვარის გარშემო. მოზარდი და მასთან მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც კი გადარჩა ადმინისტრაციის კლანჭებს ცოცხალ ლობესავით შემორტყმოდა ბულვარის რკინის მოაჯირებს და გამვლელ-გამომვლელებს ათვალიერებდა. სხვა თანამედროვე ხელობას კიდევ ეს „ჭვრეტაობა“ სჯობია და ამიტომაც აღარ გავხადე ბულვარის მოციქულნი ღირსი ჩემი მათრახის კუდისა. ორი „კრუგის“ შემდეგ ბულვარიდანაც გავედი და საით გავქრი კაცს არ გაუგია.

**ეშმაკი.**



**ნ ა ნ ა.**

დაიძინე, ჩემო შვილო,
თორემ დამემტ მოატანს
და ასახთიც აღარა გვაქვს,
დაიძინე, შვილო, ნანა!
    სიღარიბე და სისაწყლე,
    ჩვენ რომ გვტანჯავს იმისთანა
    ძნელი ასატანი არის,
    დაიძინე, შვილო, ნანა!
თუმცა ამ კრულ ქვეყანაზე
ბევრი არის ჩვენისთანა
ღარიბი და უნუგეშო,
დაიძინე, შვილო, ნანა!
    მაგრამ ბევრიც ბედნიერი
    ნეტარებით ცხოვრობს განა
    და ეძლევა ძილს უზრუნველ
    შენც იძინე, შვილო, ნანა!
მე ცხოვრების საზოგადოთ
არის ძნელი გამოცანა:
ზოგი ტირის, ზოგი ლხინობს.
დაიძინე, შვილო, ნანა!
    მაგრამ ჩვენებრ ტანჯულთ ბედიც
    გაიღიმებს ხანდის ხანა!
    ეს იმედით გულს ჩაიგდე
    დაიძინე, შვილო, ნანა!
გაიზრდები და გაიგებ,
როგორია ეს დრო-ჩანა
და რას ითხოვს ვაჟ-კაცისგან!
დაიძინე, შვილო, ნანა!
    თუ რომ ჩაგრულს შველა უნდა,
    მან თვით შექმნას უნდა განა

სამისთ პირობეის(?)
დაიძინე, შვილო, ნანა!
ფუ, იმ ვაჟკაცს, ვინც ეგ ვარუ(?)
წყეულის ხალხისგანა
და ცხოვრება მას დასტანჯავს!..
დაიძინე, შვილო, ნანა!
ესეც, შვილო, დაახსომე,
მოიგონე ხანდისხანა
და მართალ გზას არ ასცდები
დაიძინე, შვილო, ნანა!
დამე არის გენაცვალე,
წყვდიადია გარს ყველგანა,
და სინათლის მოლოდინში
დაიძინე, შვილო, ნანა!..

ნ. ზომლეთელი.



# გურული სცენა.

დესპინე და კასინე (ქალიშვილები).

**დესპინე.** წეიკითხე დავო „ცეცხლის“ პირვე-ლი ნომერი?

**კასინე.** (თავს მორცხვათ ჩაღუნავს, თვალებს დანაბავს).—ცეცხლი ჩუვარდა პირში იმის დამწერს, მარჯვენაი შიახმა, პირველი ნომერიც წევიკითხე და მიორეც, ბეჩა, ენაზე რაც მოგადგება ყორიფელის დაწერა რაფერ შეიძლება?

**დესპინე.** რავა, მორეც გამოვიდა შე ქალო, რა წერია შით თუ დობა გწამს, არის კიდევ იმფე-რი რამე საეშმაკო?

— არის ბეჩა და იმაზე ვარესი უფრო აქოთე-ბული და აყროლებული უწინ რომ იყო, იმიზა ბოდიშს იხდიან და ვარესს ქე ბეჭვდენ ბეჩა აწი უფროსათ მიმინო გვეყოლებაო და თვითონ იმ მი-მინოის ლექსი რომ წეიკითხო იმფერია რომ სირ-ცხვილით დეიწობი, რა გითხრა ბეჩ, იცი მაგისთა-ნა მყრალ-მყრალს თუ წერენ და ასაღებენ, მიკვირს ან მიმინო რათ უნდოდენ და ან გადმოთარგმნა ჩვენმა კბილჩაყრევვებულმა ზურაბა ნაკაიძემ რუსუ-ლი სულ არ იცის, მარა მაგისთანაი ამბავი იმდენი იცის, რომ კაი მოწიფული ვაშკაცი ვერ ზიდავს

**დესპინე.** მე იმ აზრისა ვარ ჩემო დავო, რომ მაგისთანა უსირცხვილო ნაწერებს ბოიკოტი უნდა გაუკეთოთ. ეშმაკი ჯოჯოხეთში რომ წევიკითხე რა-ფერ მომეჭეჭკა გული, რომ იცოდე შეგეცოდვები.

**კასინე.** (გესლიანათ) რეიზა ბეჩა, ეშმაკი ხომ არ მოგენატრა?

**დესპინე.** ნუ ყაშმიერობ ჩემი დაიე, რა დროის ყბაის ქცევაა.

**კასინე.** შენგან გამჟღავნებას არ მიველი და გამოსწი ყური (ფურჩულით), მე ბარე სამი გზობაც კი ამოვიკითხე. ვინ მოსთვლის კიდევ რამდენმა ლუნდრუცმა წამაკითხვა და ამეიგვნეშა.

**დესპინე** აბა რას ვჩივი შე ქალო! ყველა ქა-ლი იმას ჩივოდა, არ წეიკითხება ბინძურიაო და ყველაი მუმიასავით ეძებდა და კითხულობდა, რა-ვარც გევიგე იგი „ცეცხლი“ ყველაზე მეტი გეიყი-და და თურმე ცოდვა გამჟღავნებული ჯობს და პირფერობით, პირის დასამშვენებ ათ, ვითამ ყვე-ლაი ჯავრობდა, ისე ყველაი ქალი კითხულობდა და სხვასაც კი უკითხავდა.

პიტნა.



## ვუძღვნი „ფაროსნებს“.

წუთი სოფელი ბოლომდის
არავის მოუჭამია:
ზოგჯერა ტკბილი, შარბათი
ზოგჯერ ის მწარე შხამია.
ფარელსაც ქონდა ერთი დრო,
საქვეყნოთ იყო ქებული
და საქართველოს მნათობათ
მოვლენილ-მირონ-ცხებული.
როცა ის სავსე სუფრასთან
რეჩებსა დააქუხებდა,
და თავის თავის ქებითა
სულს და გულს შეგიწუხებდა,
უყვარდა მუნვე ბანოვანთ
თვალისა თვალში ყრილობა,
თან სჭირდა ამ დროს „ბაყაყის“
ზედმეტი განბერილობა...

ხშირათ მოვსწრივარ ასეთ ლხინს,
ვითარცა მაყურებელი,
ჩემი მობატო ბატონის
მიმყოლი, თანამხლებელი.
როდესაც სხვები ლხინობდენ
მე გული მეკოდებოდა,
კარგათ მესმოდა ყველაის,
რაც კი ჩემ თვალწინ ხდებოდა!..
უაზრო აზრთა ფრქვევანი
ჰაერსა შეაზარებდა,
მოკეთეს ცრემლებს მოჰგვრიდა,
მხოლოდ მტერს გაახარებდა.
ამბობდენ, საქართველოზე,
შოთაზე, ბაგრატიონზე,
დავით მეფეზე, თამარზე,
ერეკლე სახელოვანზე.
ტკბილ ქართულზედაც მსჯელობდენ,
(თვით უცხო ენით გალობდენ)
და სანაქებო ქართულს კი
სხვათა შორის-და ხმარობდენ...
კვლავ მოყვებოდენ ერთმანეთის
შექებას ტკბილი ენითა,
ერთი ამბობდა, სხვა სდუმდა.
გატაცებული სმენითა.
სიტყვებს მოსდევდენ ყანწები,
მძლე ნუნუათი ტენილი,
მოქონდათ ტიკი ტიკზედა,
პირს ღვინო გადმოდენილი.
და იყო ლხინი სათრობი,
მრავალ ფრად შეზავებული,
წამოწყებული „ცოცხლებით“
და „მკვდრებით“ გათავებული..
შინაურულათ ასეთნი
საქვეყნოთ ,,ასპარეზობდენ''
ხიბლავდენ უგნურთ გონებას,
ჯიბეს იტენდენ, „კრეზობდენ“!..
მაგრამ დაბერა სხვა სიომ,
სიცოცხლის მაჯა აძგერდა,
დაეტყო მეტი სიფხიზლე,
ცხოვრება გადასხვაფერდა.
ჩვენი სამშობლოს „მნათობსაც“
ანგარიშები წაუხდა
და ფარისევლურ მის სმქმეს
ყოველგან „ხიდი ჩაუტყდა.“
რამდენს არ სცდილობს, ვერ შველის
ვერც ხმალი, ვერცა ფარია,
რადგან ცნობილ არს, რომ ცოცხლად
ვერ გასაღდება მკვდარია.
ასეა, წუთისოფელი
სრულად ვის მოუქამია?
თუ ზოგჯერ ტკბილი ...თი
ზოგჯერ ის მწარე სამია.
ფარელსაც ქონდა ერთი დრო:
საქვეყნოთ იყო ქებული,
მაგრამ დღეს ფარი'' გაუხდა
მას ეშმტათ ზურგზე ხლებული

ნ. ზომლეთელი.



# ორი ეშმაკი

არკადის პრინცი.

(სცენა).

მეორე ეშმაკი. როცა მე ვიყავ არკადის პრინცი,
რა რწმენა მქონდა
თითონ არ ვიცი,
ყველას ვძრახავდი განუკითხავათ,
შესვლა მინდოდა
„ქართულ“ ,,პრისთავათ'' (მიდის).
პირველი ეშმაკი. (აღტაცებული) ბიზ! ბრავო!!
მეორე (მობრუნდება)
როდესაც გახლდი არკადის პრინცი,
მწერალი ვიყ ვ
ეს კარგათ ვიცი,
ვის რა მოვპარე პლაგიატურათ
ვერვინ გაიგებთ
ნუ სწუხართ ტყულათ. (მიდის)
პირველი (უფრო აღტაც.) ბიიზ!, ბრავოო!! ბიიიზ!!!

**მეორე.** (მობრუნდება).
როცა არკადის პრინცი ვიყავი,
ქართულ არტისტათ
მომქონდა თავი,
თუმც საამისო არ მქონდა ნიჭი
ვინ დამძრახავდა
ვინ იყო ბიჭი!! (მიდის)
**პირველი.** ბიიიზ!!! ბრავოოო!!! ბიიიიზ!!.
**მეორე.** (მობრუნდება)
როცა ვიყავი პრინცი არკადის,
მივხვდი, რომ სწორე
საქმე არ გადის,
ვიწყე ქურდობა, შანტაჟისტობა,
იმ დროში აგიც
იყო ბიჭობა. (მიდის).
**პირველი** (მეტის მეტათ აღტ). ბიიიიზ!!! ბრავოოოო!
**მეორე** (მობრუნდება)
როცა არკადის გახლდი პრინცესა
„სუდში“ ჩვენება
უნდა მიმეცა,
მაგრამ წამძლია ბოროტმა სულმა,
და შემარცხვინა
„ხარბინის ფულმა“. (მიდის).
**პირველი.** (უმეტ. აღტ.) ვაშააა! ბიიიზ!! ბრავოოო!
**მეორე.** (მობრუნდება)
როდესაც ვიყავ არკადის პრინცი
დამატუსაღეს,
რისთვის,—არ ვიცი?..
ორენბურგისკენ მე მიკრეს თავი
ალბათ მემდურის
ვინმე „პრისთავი“. (მიდის).
**პირველი.** (უმეტ. აღტ.). ბზზზზზ!.. ბრავოო!
**მეორე** (მობრუნდება)
როცა არკადის პრინცი ვიყავი
ვექილ ლაბორათ
მომქონდა თავი.
მუდამ ვიცავდი ჩემს წმინდა მცნებას
პრისთავთ უფლების
გადაჭარბებას. (მიდის)
**პირველი.** (უმაღლ. წერტ. აღტაცებული). ბრრრრ...
ბზზზზ.

(ამათთ).





ჯვარცმა ხახანოვისა.

**მესტვირული.**

მისთვის კი არ ვარ მესტვირე
მიყვარდეს ესე ხელობა,
ზოგჯერ დიდინსა სტვირისას
აჯობებს დაუკვრელობა;
ზოგჯერ ტკბილ სათნოებასა
გულისა ულმობელობა,
მაგრამ მუდამ ჟამს იძრახვის
ფარისევლობა, გველობა.
ფედერალისტებს საქმე სჭირთ,
ღმერთმა მტერს ააშოროსა:
მზათ არის თითო მათგანი
მიდამო ააშმოროსა;
ერთსა მართალთან, ათასი
სიცრუე მოაჭოროსა
შემდეგ კი შეძვრეს უვნებლათ
სარეაქციო სოროსა.
მათ შორის ხახანაშვილსაც
რანგი ეჭირა ქებული;
მეცნიერების მწვერვალზე
ის ყავდათ დასკუპებული.

იმას უკმევდენ გუნდრუკსა,
მისგანვე მირონ ცხებული,
მოსწონდათ მისი ნაწერი
ტომებათ ჩასუქებული.

დღეს დაყირავდა ქვეყანა,
მზე გაპირქუშდა·გაშავდა,
ღმერთობა ხახანოვისა
„სამარადისოდ“ გათავდა.




ჯვარცმა პროფ. ხახანაშვილისა.

ნეტა რა მოხდა ეგეთი,
რა დიდი ცოდვა და მავდა,
რომ პროფესორი „მეგობრებს“
გოლგოთას მთაზე აყავდა.
ესე ამბავი უცხოა
ტურფა რამ მოსათხრობელი,
უკულმართია, ხომ იცით,
ოხერი წუთი სოფელი,
ხახანაშვილსაც წამოსცდა
სიტყვა სიმართლის მთხრობელი
ფედერალისტთა „აზრების“
უზომოთ დამათრობელი.
ქართველთა ტომის „კულტურას“
მიუძღვნა მცირე ზვარაკი,
ბევრი მოგვითხრო სიმართლე,
მრავალი „რუქას არაკი“,
თავს დაიტეხა ამითი
უზომო ჭირ-ფათარაკი,
დაჰკარგა გასულ დროებში
ნაწერი ნალაპარაკი.
ზურგი აქცია უკმეხათ
სამშობლო ქვეყნის ხატებსა,
მშვნებას ივერიისას
ფედერალისტურ ბატებსა,
**და ხალხის გამოღვიძებას**
**თვით-ცნობა შენამატებსა**
**სავსებით მიაწერავდა**
**სოციალ-დემოკრატებსა.**
ესე თქმულება „ისრელებს“
გულს მოხვდათ ვითა ლახვარი
და წამოიწყეს „კამათი“
სწორეთ გულ-შემოსაყარი;
ილანძღებიან ულმერთოთ
კაეშან შემონაყარი
ვით, გალეშილი ღვინისგან,
თავადიშვილის მაყარი.
ცხარობენ როგორ გვაკადრა
**რომანტიკობა** ჩვენაო
მეხი დაეცეს იმ თავზე
პირში გაუხმეს ენაო,
დაეხშოს აზრი, გონება,
ოცნების აღმაფრენაო
რომელმაც ესე სირცხვილი
დღეს კარზე მოგვაყენაო.
ამართეს ჯვარი წამების
სასტიკი, დაუნდობელი.
და ზედ გააკრეს უსირცხოთ,
მცირე სიმართლის მთხრობელი.

**ეშმაკი.**

---

## ქართველი მოღვაწეები.




კიტა აბაშიძე.

### დაბადება და სიმწიფე.

კიტა აბაშიძე დაიბადა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ თავადის ოჯახში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. სწავლა განათლების შესაძენათ მშობლებმა ბავშვი კიტა ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს სადაც მეცხრამეტე საუკუნის მეოთხმოცდა ათე წლებში მიიღო სრულიად სიმწიფის მოწმობა.

### სტუდენტობა.

ქუთაისის გიმნაზიაში დამწიფებული შვილი, მშობლებმა ადესის უნივერსიტეტში გაგზავნეს იურიდიულ ფაკულტეტზე. აქ კიტამ ჭეშმარიტ ქართული მუყაითობა გამოიჩინა და საფუძვლიანათ

შეისწავლა ვექილობა. ამბობენ ამ დროიდან იწყება კ. აბაშიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობაო.

**კრიტიკული წერილები.**

უნივერსიტეტშივე იჩინა თავი კიტას დიდებულმა კრიტიკულმა ნიჭმა. სხვათა შორის ის შეეხო ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებსაც და ქართველი მგოსანი ზოლას გვერდით დაუყენა.

**პირველი საფეხური ჩინოვნიკობისა.**

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კიტა აბაშიძე, როგორც უმეტესობა კურს-დამთავრებულ სტუდენტობისა სამსახურში შეძვრა ე. ი. შევიდა. ის მსახურებდა სახელმწიფო პალატაში და იღებდა თვიურათ 40 ქანქარს. მიუხედავათ ასეთი მცირედი სასყიდლისა ის მაინც არ შორდებოდა აღნიშნულ სამსახურს, ვინაიდან იდეალათ ქონდა დასახული ეგრეთ წოდებული „პოდატნოი ინსპექტორობა."

**ივერიის რედაქციაში.**

1896 წელს, დაათავსეს რა ახალგაზრდა კრიტიკოსის დიდებული ნიჭი, ის მიიწვიეს გაზეთ „ივერიაში", სადაც დაჰყო სულ რამოდენიმე თვე. რედაქციაში მოღვაწეობის დროს ის განაგრძობდა სახ. პალატაში სამსახურსაც.

**მომრიგებელ მოსამართლობა.**

რაც უფრო მწიფდებოდა ჩვენი კრიტიკოსი, იმდენათ ბედი უღიმოდა და ბედნიერ მომავალს უქადიდა. როგორც ამბობენ მზითვებში მან მიიღო მომრიგებელ შუამავლობა, რაიცა ფრიად სასარგებლო საფეხური გამოდგა შემდეგი ამაღლებისათვის.

**კ. ა. როგორც ბანკის მებრძოლი.**

ქუთათური მოღვაწის მოღვაწეობა, როგორც მოგეხსენებათ ბანკითა, შავი-ქვითა და დეპუტატთა საკრებულოში მოღვაწეობით განისაზღვრება. ბანკის საქმეთა შესახებ ბრძოლაში კიტა აბაშიძე კონტრ-კალისტრატისტი იყო და ენერგიულათაც იბრძოდა.

**შავ-ქვაში.**

შავი ქვის საბჭოში აბაშიძეს მუდამ საპატიო მებრძოლის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ის თავგამოდებით იცავდა შავი ქვის ღმერთს,—გიორგი ზდანოვიჩს და ეს უკანასკნელიც მზრუნველობას არ აკლებდა ხელ-მოკლე კრიტიკოსს.

**თავად-აზნაურთა კრებებზე.**

სათავად-აზნაურო კრებებზედაც კიტა დაუდეგარი მებრძოლი იყო და მუდამ სიმონ წერეთელს ეკედლებოდა. სამეგრელოს გათავად-აზნაურებაში მას რასაკვირველია არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის.

**ანეგდოტები კიტას ცხოვრებიდან.**

ყველა ადამიანი მომაკვდავია, მაგრამ სიკვდილსაც თავისი დრო და ჟამი აქვს. პუშკინისა და ლერმონტოვის უდროო სიკვდილმა ვინ იცის რამდენი ზარალი მოუტანა რუსულ ლიტერატურას. არც თუ ჩვენს ღარიბ ლიტერატურას აკლია უდროო მსხვერპლები და მით უფრო სასიამოვნოა რომ დუელი კიტა აბაშიძესა და მ. ც—ას შორის არ შესდგა. ეს ამბავი, როგორც ამბობენ მოხდა ქ. ქუთაისს ფერმაში. აქ ერთ საღამოზე, სადაც სხვათა-შორის ჩვენი კრიტიკოსიც იმყოფებოდა, მისი ნაწარმოები ავათ მოიხსენიეს. ეს იუკადრისა ახალგაზრდა მოღვაწემ და მისი შეურაცხ-მყოფელი მ. ცხაკაია დუელში გამოიწვია. ვინ იცის ეს სახიფათო საქმე როგორ დაბოლოვდებოდა, რომ კრიტიკულათ მოაზრე თავადს უკან არ წაეღო თავისი რაინდული გადაწყვეტილება.

**კუჭი კიტა აბაშიძისა.**

როგორც მოგეხსენებათ ჩვენ პატენტოვან ფედერალისტებს კუჭი არა აქვთ და ამ ორგანოს უქონლობით საუცხოვოთ ბაქი-ბუქობენ. ამიტომაც საჭიროთ ვცანი ჩვენი კრიტიკოსის კუჭიც მოვიხსენიოთ მის მოღვაწეობასთან ერთად. ეს მით უმეტეს რომ, „სახალხო" მოღვაწეობამ მის კუჭსაც ფართე ასპარეზი გაუჩინა და დღეს დღეობით მას კუჭით უფრო სცნობენ ვიდრე თავით.

1) ვითარცა ქიათურის ბანკის დირექტორი კიტა აბაშიძე იღებს წლიურათ 2000 ქანქარს.

2) ვითარცა შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იღებს 2000 ქანქარს.

3) ვითარცა სამრეწველო ამხანაგობის „შავიქვის" გამგე იღებს 2000 ქანქარს.

4) ვითარცა წევრი, საბჭოს თითო სხდომაზე იღებს 30 ქანქარს, რაიცა სრულიად შეადგენს წლიურათ არა უმცირეს 6500 ქანქარისა.

**ისტორიკოსი.**



ცხელ-ცხელი ამბები

(რუსეთიდან)

ცხელ-ცხელ და კურიოზულ ამბებს არა აქვს დასასრული ჩვენ კურთხეულ რუსეთში. არა მგონია ისეთი ქვეყანა მოიძებნებოდეს დედამიწის ზურგზე, სადაც ისეთი სენსაციური ამბები ხდებოდეს, როგორც რუსეთში. რომელ ერთს მოგიყვეთ. რუსეთის დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის დასახასიათებლათ საკმაოა მოვიყვანოთ რამდენიმე მათგანი:

**კიევის თავად-აზნაურობა და რუსეთის რევოლიუცია.** ყველაზე მეტათ რუსეთის შემაშულე თავად-აზნაურობას მოხვდა გულში რევოლიუცია და ბატონყმური ცხოვრება ძლიან ბუდიანათ შეურყია. ის მზათ იყო მაშინვე კისერი მოეგრიხა ამ დაუპატიჟებელ სტუმრისთვის, ჩაეხრჩო, ფეხ-ქვეშ გაეთელა, მაგრამ ძალა არ შესწევდა და ელოდა მოხერხებულ დროს. და აი ეს მოხერხებული დროც დადგა—რევოლიუცია დამარცხდა—რეაქციამ ფრთები შეისხა და შემაშულე თავად-აზნაურობამაც თავი წამოყო. მან მოინდომა ძველი, ბატონ-ყმური რეჟიმის აღდგენა და ენერგიულათ შეუდგა მოქმედებას. სიეზდების სიეზდები მოყვა. მაგრამ ყველაზე უფრო რადიკალური საშუალება რევოლიუციის წინააღმდეგ, მხოლოდ მარტო კიევის თავად-აზნაურთა სიეზდმა შეიმუშავა. მათ გადაჭრით დასვეს საკითხი—ან ჩვენ და ჩვენი ბატონობა და ან რევოლიუცია. ამ მიზნით უპირველეს ყოვლისა გადასწყვიტეს გაუშინჯონ გლეხებს კილები, და რომელიც არა კეთილ საიმედო აღმოჩნდება გადაასახლონ შორეულ ციმბირში. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანათ არ დაიშურეს და 36,000 მანათი გადასდვეს. სიეზდმა დიდი კამათის შემდეგ გამოარკვია, რომ რუსეთში რევოლიუციის საბოლოოთ მოსასპობათ და კეთილ-დღეობის დასამყარებლათ საჭიროა საიდუმლო პოლიციის გაძლიერება—საიდუმლო პოლიცია ეს ერთათ ერთი ბურჯია, რომელზედაც უნდა დაეყრდნოს რუსეთის სახელმწიფო—ერთხმათ გადასწყვიტეს გადასდონ ამ საქმისთვის 150,000 მანათი. არ დაივიწყეს პოლიციელები და ურიადნიკები—მათ შესაიარაღებლათ გადასდვეს—62,000 მანათი. არ დაივიწყეს რევოლიუციონური პრესაც, მის წინააღმდეგ საბრძოლველათ გადასდვეს 5,000 მანათი. ამ გვარათ კიევის თავად-აზნაურობამ მთელი ქვეყნის თავად-აზნაურობას აჯობა და ეჭვს გარეშე თავის რადიკალურ ზომებით და უხვათ ფულების გამოღებით სამუდამოთ განამტკიცებს თავის ბატონობას.

**საჭიროა სატუსაღოები.** დღემდე მხოლოდ სატუსაღოებით და ტუსაღებით შეეძლო ეამაყნა რუსეთის სახელმწიფოს მთელი ქვეყნიერობის წინაშე. რა დროსაც გინდოდა და სადაც გინდოდა შეგეძლო გეშოვნა ალაგი სატუსაღოში. დღეს კი თუ ქრთამი არ დახარჯე ისე მთელ რუსეთში ერთ ადგილს ვერ იშოვნი სატუსაღოებში. თუ ეს არ გჯერათ წაიკითხეთ პირველი დუმის ყოფილ დეპუტატ ეზერსკის თავგადასავალი. მას სხვა დეპუტატებთან ერთათ გადაუწყვიტეს სამი თვე ციხე. რადგან საკასაციო სჩივარი აღარ აღძრა მოინდომა ჩქარა მოეშორებია თავიდან ეს სასჯელი და ამ მიზნით ის მისულა კიევის პოლიციაში, სადაც ის სცხოვრობდა და უთხოვნია მიიღეთ მოწყალება დამამწყვდიეთ ციხეშიო. პოლიციაში ცივი უარი უთქვამთ ადგილი არა გვაქვსო. ეზერსკი წასულა პირდაპირ სატუსაღოში და უფროსისთვის უთხოვია მომეცი სადმე კუნჭულში ერთი ალაგიო აქაც, უარი უთქვამთ. მოუვლია მთელი კიევი, მაგრამ ყველგან უარით ისტუმრებდენ. იმედი არ დაუკარგავს და წასულა პირდაპირ პეტერბურგში პროკურორ კამიშანსკისთან და შეხვეწნია უსათუოთ უნდა მიშოვნოთ ალაგიო. კამიშანსკის დაუბარებია ადგილობრივი ბოქაული, ჩაუბარებია ეზერსკი და დაუვალებია სადაც იყო სატუსაღოში უნდა იშოვნო ალაგიო. ბოქაულთან ერთათ ეზერსკის შემოუვლია პეტერბურგი მთელი თავის სიგრძე სიგანით და რაკი ვერსად ადგილი ვერ უშოვნიათ დაბრუნებულან საპოლიციო ნაწილში. იმედ გადაწყვეტილ ბოქაულს უთხოვნია ჩემს კანცელარიაში მოიხადე სასჯელიო. ეზერსკის უარი უთქვამს მე სატუსაღო მაქვს გადაწყვეტილი და უსათუოთ იქ უნდა ჩამსვათო. ბოლოს როგორც იქნა უშოვნიათ ერთი ადგილი და ეზერსკიც გულდამშვიდებით შესდგომია სასჯელის მოხდას. მაგრამ, დახეთ უბედურებას, არ გასულა ერთი კვირე რომ კარებზე მიადგენ და მოსთხოვეს დაეცალა ადგილი. რადგან უფრო საყურადღებო ტუსალი ვიშოვნეთო. მეტი რა გზა ქონდა ეზერსკი დათანხმებულა დაეტოვებინა ტანჯვაწვალებით ნაშოვნი ადგილი. მხოლოდ წასვლის დროს პოლიციელებისთვის ხელ-წერილი ჩამოურთმევია, რომ ერთი კვირით სასჯელი უკვე მოხდილი მაქ და გაიხსნება თუ არა ალაგი სატუსაღოებში პირველი კანდიდატი მე უნდა ვიყოვო. კიევის თავად-აზნაურობას ალბათ არ სცოდნია, რომ ასეთი სივიწროვეა სატუსაღოებში, თორემ რევოლიუციის დასამწყვდევათ 700,000 მანათს მაინც გაიღებდა.

**„რუსთა კავშირის მთავარმართებელი“.**

„რუსთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დუბროვინი მიდის და შიდის მაღლა. ამ დღეებ'ი მას ბედნიერება ქონდა თავის თვალით ენახა ხელმწიფე იმპერატორი. ეხლა ის „კავშირის“ მთავარ-მართებელა გახდა. „კავშირის“ ერთ კრებაზე ის ერთხმათ აირჩიეს „მთავარ-მართებლათ“ რომ თავისუფლათ შეეძლოს ცარსკოე სელოში წასვლა.

**ქურთიძე.**



## მე და შენ.

ირგვლივ წყვდიადი, სიცივ-სიბნელე,
შავი ღრუბელი ცას ეფინება,
გულს კაეშანმა კლანჭები სჭიდა—
მე ვიტანჯები, შენ გელხინება...
ჰაერი გესლით გაჟღენთილია,
ჭეშმარიტება უარყოფილი,
ძალმომრეობა მაღლა მჯდარია,
თავისუფლება გულ-გაპობილი,
მჩაგვრელთა ფეხ-ქვეშ კვლავ ითელება
მოქალაქობა და პიროვნება,
კვალად ჩხრიალებს მონობის ჯაჭვი—
მე ვიტანჯები, შენ გელხინება ..
სმენას აძნელებს და გრძნობას ახშობს
ყვავთა და ყორანთ მწარე ხითხითი,
პირ დორბლიანი, თმა გაჩეჩილი
ძალა შავბნელი უარყოფითი.
წამოიქინდრა, მახვილით ხელში
მთაბარს მოედო, მოიგრაგნება,
რომ ყველაფერი ურცხვად წასთელოს—
მე მტანჯავს აგი, შენ გელხინება...
მარა აი, იქ, ცხოვრების გულში,
შემოუნახავს ნაპერწკალს თავი,
მალე იმისგან უნდა აღინთოს
ცეცხლისა ალი მტრის გულის მწვავი.
და აი, მაშინ ტანჯულ ქვეყანას
სინათლის შუქი მოეფინება,
ის ბნელეთისკენ შენ გაგამგზავრებს,
მე კი მიამებ, მომელხინება...

**ნ. ზომლეთელი.**



# წერილები ეშმაკისადმი.

**ხევიდან.** ძმაო ეშმაკო! რამდენი ხანია ჩვენი ხევისკენ პირი არ გიქნია და უნდა იცოდე რო გორ გვენატრები! აქაურ ქურდბაცაცების საზი არ მოქმედებას საზღვარი აღარა აქვს. მათი მუ საკ რებულო ადგილობრივი სამიკიტნოებ დი სიფრთხილე გმართებს, იმათ ბე თუ მამასახლისმა სადმე შეგასწ თვალი არც ის მოგეფერება, რადგან სუნით დაე-ძებს არა „საიმედო" პირებს. მერე რა ,,ხიტრი'' კაცია და; ამას წინეთ ერთმა სოფლელმა მეზობე-ლი მოჰკლა ხანჯლითა და ქისტებში გაიქცა, მამა-სახლისმა არავითარი ზომები არ მიიღო მის შესაპ-ყრობელათ, თუმცა შეეძლო დაეჭირა. სამაგიეროთ როცა მეორე შეურაცხყოფილმა და ნაცემ-ნატყეპმა გლეხმა მსუბუქათ დასჭრა ერთი მცემელთაგანი, წამსვე გაათოკინა და დუშეთში უკრა თავი, თუმცა სოფელი მათ შინაურულათ მორიგებას უპირებდა.

აი ეს პატარა ლექსი კერძოთ შემოგითვალეს:

რას შვრები ძმაო ეშმაკო რათ დაგვივიწყე ჩვენაო,
პირში ბურთს გვჩრიან, სისხლს გვწოვენ, ვერცა დაგვიძრავს ენაო
კვლავ დაირაზმენ შავეთნი სოფელს მოუდვეს გენია
გაშალეს დროშა ქურდობის გაგვიქრეს ტკბილი დღენია.
მეთაურათ ყავს ყველასგან არ პატიოსნათ ცნობილი,
გუშინდელ მტერი მოსისხლე, დღეს კი მეგობარ-ძმობილი.
სამიკიტნოა მუდმივი იმათი გასართობელი,
ტყუილათ არ მოგახსენებთ მემოწმის მთელი სოფელი.
ზოგისა სახლი გაძარცვეს, ზოგსა მოპარეს ცხენია
(ქერსა და სიმინდს იპარვენ ესეც კი არა სცხვენია!)
ზოგს ღამე გზაში ხვდებიან, შეურაცხყოფენ ძალათა,
თუ მოყვენ წვეულებაში ჩხუბად და ხათაბალათა.
იმათ შხამსა და ბალღამსა აქ ბევრი გაუგუდია,
მოდი და ურტყი თუ ძმა ხარ შენი მათრახის კუდია.

**მთიელი.**

—

**ფოთიდან.** ბევრგვარი შანტაჟისტები ,,მო-ღვაწეობენ'' ამ არეულ დროში—ერთი შანტაჟის-ტკა ფოთსაც მოევლინა. ეს გახლავთ ,,интеллигентная особа'', ასტროლოგი ქ-ნი ბროესკული. რა გინდა რო არ გაიგოს შენი წარსული და მომავა-ლი ბედი, მხოლოდ მანეთია საჭირო. მუშტრებიც ეხვევა.—შენ გამოიცან, ეშმაკო, ეს ინტელიგენტკა არის მეტი სამათრახო, თუ ის ინტელიგენტები, რომლებიც მასთან მიდიან სამკითხაოთ.

**ტურა.**

—

**სად. ბორჯომიდან.**

ძვირფასო ძმაო, ეშმაკო!
შენს მათრახს დავენაცვალე,
ერთი ბორჯომის სადგურზე
როდისმე მოიცანცალე.
აქა გვყავს ცქიტიაშვილი
(„პოპოშნიკია" მგონია!
ბევრგან ისმენენ იმის „რეჩს";)
(თვითონ მეც გამიგონია).
ფანატიკია, მტკიცეთ დგას
მართლმადიდებელთ რჯულზედა,
მღვდლები რომ მუშებს ვერ ყვლეფენ,
ეს ბრაზით სკდება გულზედა.
ამბობს: თქვენ ერთი შეხედეთ
სოციალ-დემოკრატებსო,
მღვდლის ხომ არ სჯერათ, არ სცნობენ
აღარც ღმერთს, აღარც ხატებსო!

სხვა და სხვა ქვეყნის მუშებმა
როცა „ერთობა“ იწყესო,
ჩვენი მუშებიც მათ აჰყვენ
და ღმერთი დაივიწყესო
ერთი მითხარით უხატოთ
ამ ქვეყნათ კაცი გაძლებსო???
(ამ ბრიყვს ჰგონია, რომ მდირებს
პურს და ფულს ღმერთი აძლევსო).
ვინც ფული დაამუშავა,
ან ვისაც მოჰყავს პურია,
ამათზე კრინტსაც არა ძრავს
რათ შია მათ ან წყურია.
. ის მხოლოთ ხატებს ქომაგობს
და ღმერთს ვექილად უხდება;
ალბათ ჰგონია აამებს,
მაგრამ კი ტყვილათ სწუხდება.
თუ ღმერთი ღმერთობს ამ ქვეყნათ,
ან ხატი შესძლებს ხატობას
ნეტავი რასა აქნევენ
ამ ბრიყვის ადვოკატობას?!
და ვფიქრობ მეტიჩარასა,
მათრახი მოუხდებოდის,
სჯობს პისცხო ისეთ-ისეთი—
სულ მაღლა-მაღლა ხტებოდეს.

**ფუტკარი.**

—

**თფილისიდან**: ძმაო ეშმაკო; როგორც ხედავ ისევ შენდამი მივილტვი. სრულებით არ მინდოდა შენი შეწუხება, მაგრამ რას იზამ другого исхода нѣтъ.

საკანდიტეროებში მინდა ერთი რევიზია მოგახდენიო და ნუ დაიზარებ შენი ღვთის გულისათვის.

შეხვალ თუ არა „**ლოვერიაში**“ ბატონი ხაზეინი და ხაზეიკა კარებშივე აგწონ-დაგწონავენ. ვაი შენი ბრალი თუ უბრალო მუშა დარჩი! არ აგცდება ისეთი ამბავი რომელზედაც წერა აკრძალულია, ყოველ შემთხვევაში ის ნუ გეუცხოვება ბ. ნმა ნესტორმა რომ საქმეები თავის მეუღლეს გადასცა, ახლა ხომ იცი სქესების თანასწორობაა მოდაში შენ მაინც შენებურათ დაუყვავე ორივეს.

და მოახსენე ხაზეინს
რომ მისი ხერხი ძველია
ცოლს რომ გადასცა სავაჭრო
და თვით ალალო ხელია.

ყოველ შემთხვევაში ფრთხილათ კი იყავი, რომ შენც იმ მუშის ბედი არ დაგემართოს, რომლის დაწერაც არ შეიძლება.

აქედან კიროჩნი ქუჩაზე შეიარ გენეს საკანდიტეროში, სადაც მხოლოდ ნახევარი ბოთლი „კუდინი“ დაგჭირდება ახლად მოვლენილი „უპრავლიაიუშჩის“ პირის ჩასაგემრიელებლათ. ძველათ ამ დუქანსაც მამა განაგებდა, მაგრამ რაკი მამამ მუშებთან საქმე გაამწვავა ახლა შვილს გადასცა. ცემის შესახებ წერა არ შეიძლება, თორემ ქე მოგწერდი; რომ აქ შეგირდების ცემა იციან ხოლმე.

ყოველივე ამის შემდეგ ერთი წუთით გენეს მუშებიც ინახულე და თითო კუდი იმათაც მოსცხე. თან დაუმღერე თუ ძმა ხარ

„რაც მოგივა დავითავ თქვა
ყველა შენი თავითა“ თქვა.

ამ მუშებზე კიდევ არის ერთი პატარა ცოდვა, მაგრამ ამას არ გიმხელ და რაც გითხარი იმას იმედი მაქვს შემისრულებ.

შენი ძმა **უხილავი.**

—

**ერწოდან.**

სადა ხარ ძმაო ეშმაკო
შავ-შავ ფრთებ გადაშვებულო
მათრახითა და კუდინით
მთელ დუნიაზე ქებულო
ერწოსკენც ჩამოიქროლე,
ნუ დააყონებ, მალეო,
საყდრიონს თხის თავიანსა
მათრახი გაუშალეო.
იქიდან ნაქალაქარში
თურქაძეს ჩაუარეო
წინ-წინ ჩანახით „კუდინი“
მიაღებინე ცხარეო.
მერმე ეგ შენი მათრახი
ზედ ზურგზე გაუტარეო
უთხარ მრევლს აღარ უნდიხარ
და რისთვის გაამწარეო.

**ჭვალი.**

—

**სამტრედიის რაიონი**. ძმაო ეშმაკო! სოფ. ეწერის სიხარულს ენა ვერ გამოსთქვამს და ამ წერილის მიღებისთანავე გამოგვიგზავნე ერთი ჩაფი დაძმარებული „სპერმაკუდინი“. საქმე იმაშია, რომ 17 თებერვალს პრიქაული გვეწვია და სასიამოვნო ამბავი გამოგვიცხადა“.

ძმებოვო, თქვა, თუ სულ ასე ჭკუიანათ იქნებით და არაფერს დააშავებთ მე შვამდგომლობას აღვძრავ, სადაც ჯერ არს, რომ ამ მეოცე საუკუნის განმავლობაში მოხსნან სოფელს სტრაჟების შესანახავი ხარჯიო.

სიხარულით დამთვრალმა ხალხმა ამ შემთხვევის ალსანიშნავათ სოფლის მწერალს (საშინელი კარგი მწერალია) სამასი ქანქარი ჯამაგირი დაუნიშნა. პრიქაულიც ძალიან მხიარული იყო, რადგან ყრილობის დაწყებამდე, სოფლის ადმინისტრაციასთან ერთად, სკოლაში ლაზათიანად გამოიმასიქნენ“.

**„ჩორთიკ“**

—

**ჯიქთუბანი**. ძმაო ეშმაკო! გთხოვ მცირეოდენი კუდინი გამომიგზავნო ამხ. მიშა მესხის მისართმევათ, რადგან ისე დასუსტებულია, რომ ჯიბიდან ფული ვერ ამოუღია სხვის გადასაცემათ.

**ჩორ.**

**ქოლუბანი**. ეშმაკ! ოფილისის ტოკარნი ცეხის ყოფილი მუშა ტარიელი უმორჩილესად გთხოვს ორმოციოდ წვეთი კუდინი გამოუგზავნოთ, მაგრამ უფასოთ კი. თავდებათ მე გიდგები, რადგან იმედი მაქვს გადაგიხდის. ტარიელი სტრაკნიკათ აპირობს შებრძანებას და იმდენი „გამოსარჩენი“ კი ექნება რომ შენი ვალი გაისტუმროს. ამ ადრესით გამოაგზავნე თუ გამოგზავნას კეთილ ინებებ. ქოდუბანში - მიქაძეს.

**თიკ.**

—

**ბაქო**. დაუვიწყარო ძმაო ეშმაკო! ვერ შემიძლია აგიწერო ის სიამოვნება, რომელიც შენი ,,კუდინის'' ძალამ გამოიწვია. ჩვენი ,,ოლრაშ-შანტაჟისტები'' სწორეთ მოშალა კაცობაში და დალრეჯილობაში ჩააგდო. ერთი ორი ასეთი გადაცხუნ-გადაყლაპება და ან მორჩებიან ან თქვენ ჭირს წაიღებენ.

მაშ გაბედე და ჩამოდი
ადგილობრივ ნახავ „გმირებს“,
მათი „ფერის-ცვალებანი“
საუცხოვოთ გაკაკვირებს.
დღეს შეხედავ, ყველა დადის
დიაგონალ პალტოებში
ხვალ კი ნახავ ამავ გმირებს
გამოხვეულს ბინძურ ჩვრებში.
დღევანდელი წანაღლ ტი
აღარ ყოფნისთ ლოტო-კარტში
და ამგვარათ მათი ყოფა
მიდის ძარცვა-ქურდობაში.
„ოლრაშ-ებსაც“ მიულოცე
ერთი ჩაფი „კუდინ-სითხე“
მათრახით კი ყველა ერთად
გაჰკოცნე და მომიკითხე.

**შენი კალამი.**

—

**სიღნაღიდან.**

ეშმაკო! ხუთი წუთ-თა მათხოვე გუდა-სტვირია
მსურს დავკრა, დავალიღინო ჩვენი დარდი და ჭირია.
მოგეხსენება: ქიზიყი სულ უკან დარჩენილია
ოფილისის გუბერნიისთვის ის უკანონო შვილია.
ბევრი გვყავს გასაშოლტავი, მაგრამ ეს ერთი ქებულა
ხუცესი ვინმე უმსგავსო ქაჯეთით მოვლინებულა.
ქალების „ვოზმუდიტელხი-სოედსტვოში“ მოხერხებული
ზოგჯერ პადლოგსაც გაატხობს, დარჩები გაკვირებული
მრევლი მოწაა იმისი, საკრებათ, საწველ ფურათა
თანაც თითს უქნევს მუქარით: „მე არვინ დამემდუროთა!“
ტყავი გააძროს სულყველას ეს უწერია სიაში
აბლაკატობას ეწევა სუდში და პრისუტსტვიაში
ყოველ დღე დაძრწის სიღნაღში დავლისთვის აგი მსუნაგი
რადგანაც გვერდში უდგია ერთი პარტიის ბუნაგი
ახლა გთხოვთ, ისე უცხუნო რომ აღარ დაეძინოსა
და შველას სთხოვდეს ვაქირში მთავრის ცოლს ხანუმ-ნინასა.

**მეწყინე.**

—

# ნეკროლოგი. †

ამ ერთი თვის წინათ მაჯ მიწას მიაბარეს ჯერ კიდევ ნორჩი, ახალგაზრდა ქ-ნ თალიკოს საორსულო და ნინოს საქორწინო კასა.

ეს კასები დაიბადენ ქალაქ თელავში 1907 წელს ზაფხულში. მათი მშობლები თალიკო და ნინო ღარიბათ ცხოვრობდენ, რის გამო თავიანთი პირმშოები (კასები) მშობლებმა საკუთარი ხელით გაწირთვნეს.

„კეთილ იყოს სახე, საიდანაც წარმოიშვა ესე ძვირფასნი არსებანი“-ო დადადებდენ ყოველი მხრიდან.

რომ ამ ახალ შობილებს დღე არ შემოკლებოდათ, ადარავერს არ ზოგავდენ ნინოსა და თალიკოს გარეშე ხალხმა საძიძოთ 12,200 მ. მოუგროვა. მაგრამ დედებს სულმა აღარ მოუთმინა და ეს ფული თვითონ შეჭამეს, შვილები კი შიმშილით დახოცეს.

სამი თვის სიცოცხლის შემდეგ დაიხოცენ! ურიცხვი ხალხი დაესწრო დასაფლავებას! იცემდენ თავში ხელებს, მოსთქვამდენ. (არ ვიცი კასას, არ ვიცი ფულს). თალიკოც ძალიან გულდათუთქულია და ცოტა ხნობით თფილისში წავიდა, გასაქარვებლათ.

საუკუნოთ დარჩება ხსენება თქვენი ნორჩნო კასანო იმ ხალხში, რომელმაც ფულები გაიღო შენ აღსაზრდელათ.

მწუხარებით აღსავსე **ვანელი ბაგრატა.**



# წერილი სამოთხიდან.

დიდათ პატივცემულო ივანე პავლეს ძევ! მას შემდეგ, რაც თქვენ მობრძანდებოდით „ეგოდრანიკობას“ დაიწყეთ და ჩვენ მოხუცებულები შეგვიძინეთ, სულიან ხორციანა თქვენ გეკუთვნით. ახლაც ამ სიშორიდან იძულებული ვართ მცირე საყვედურით მოგმართოთ: თქვენ დალოცვილო, თუ სამოთხის პატრონთან მორიგებული არ იყავით რას გვუიდულებდი და გზას გვიბნევდი?

ჩამოვედით აქ მხიარულნი, მაგრამ ვაი ასეთ ჩამოსვლას!.. სამოთხის პატრონმა ახლოსაც არ გაგვიკარა. ვაჩვენეთ თქვენი მოწმობა, მაგრამ კანადამ თავზე გადაგვახია: მე არავითარ ივანე როსტომოვს არა ვიცნობ, ასეთი სულელების მოწმობა მხოლოდ თელავში გასწორდებათ.

ბოლოს როგორც იქნა დიდის წვალებით შეგვიშვეს, მაგრამ იქ შევხვდით ციხბოვის მკვდრებს და აყალმაყალი აგვიტეხეს: „სამოთხე ჩვენიაო“ გაიძახოდნენ. ჩვენ შევებრძოლეთ და უპირატესობა არ დავუთმეთ, რადგან თქვენი კასა უწინ დაარსებულია. ახლა აი რის მთხოვნელი ვართ: მოელაპარაკე, თუ ხათრი გაქვს, ციხბოვს რომ თავისი მკვდრები დაარიგოს, თორემ საქმე უსისხლოთ არ გათავდება.

აგრეთვე მუხლ მოდრეკით გევედრებით, ერთი თქვენც ჩამოიაროთ აქეთ, რადგან უამისობა არ ივარგებს. მოუთმენლათ გელით.

თქვენი კასის **მკვდრები.**



**მათ „ობერ კონდუქტორობას“!**

ამას წინათ ,,ცისკრის'' ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო ი. რამიშვილის წერილი, სადაც ავტორი ჰკიცხავდა ვიღაც კონდუქტორს მგზავრებისადმი უმსგავსი მოპყრობისათვის, თანაც დასძენდა თუ რამდენათ დაწეულია კონდუქტორთა ერთი ნაწილის ზნეობის ბარომეტრი ამ რეაქციის ხანებში. სრულიად ვეთანხმები რა წერილის პატივცემულ ავტორს, ჩემის მხრით დავსძენ, რომ ზოგიერთი კონდუქტორი არა თუ მარტო მგზავრებისადმი იჩენს ასეთ უმსგავსოებას, თავიანთ ამხანაგებთანაც კი უთვალავ შეუსაბამო და გამათახსირებელი დამოკიდებულება აქვთ. აი, მაგალითი:

სამტრედიიდან ფოთამდე მიმავალ მატარებელზე ბრძანდება ობერ-კონდუქტორი, ბ-ნი გრიშა ადიეშვილი, რომელიც თავის ხელქვეით ამხანაგების შევიწროებაში მართლაც ,,ობერობას'' იჩენს. მე დავესწარი როდესაც ბ-ნი ,,ობერი'' ემუქრებოდა კონ.უქტორს როდონაიას. ,,თუ ეს ულვაშები მაბია, მეორეთ სამგზავრო მატარებელზე აღარ გაღირსებ სამსახურსო''!.. რატომ? თუ თქვენ როდონაიას ხუთი სანთელი ჩააბარეთ და მან ყველა აანთო შეექვსეს რაღაზე სთხოვდით? ის მეექვსე საიდან უნდა გაჩენილიყო? ან ჟანდარმის უნაყოფო ობისკი, პროტოკოლი, ,,ჟანდაბა'' ყველა ესენი რა საჭირო იყო, როდესაც როდონაიას უბილეთო მგზავრი ვაგონში არა ჰყოლია. აბაშის სადგურის უფროსის წინაშე ,,დოკლადი'' რათ დაგჭირდათ? იქნება ყოველივე ეს საჭირო იყო თქვენ მიერ განზრახული მიზნის მისაღწევათ: როდონაიას სამსახურში დასაქვეითებლათ, ან სრულიად გასაძევებლათ? მაგრამ რას გეუბნებათ სინდისი, როდესაც თქვენ იმ ოriodე გროშის გულისათვის, რომელიც თქვენის აზრით დაგიკლოთ კონდუქტორმა როდონაიამ ,,უბილეთოებში'' მის მიერ შეგროვილ ფულებიდან, თქვენ გინდათ და არავითარ საშვალებასაც აღარ ზოგავთ, რომ როგორმე მოხუცი, ცოლშვილით დაყურული, კონდუქტორი როდონაია სამსახურში ჩამოაქვეითოთ!

ეხლა მივიქცევი რა ჩემის ძმის, ეშმაკისადმი, რომლის ,,მათრახის'' ამბავი იქნებ თქვენს ,,ობერობასაც'' მოეხსენება და ვსთხოვ, რომ აღნიშნული შემთხვევის გამო მან მიგაღებინოს თქვენ 15 წვეთი ,,სპერმაკუდინისა'', ხოლო თუ ასეთი ,,შემთხვევები'' თქვენს ,,ობერკონდუქტორობას'' ხშირ-ხშირათ ემართება, მაშინ ვსთხოვ-ჩემ მიერ დანიშნული დოზა გაგიოთხკეცოთ რათა სრულიად განწმენდილი იქნათ.

კეთილ სინდისიერი მოწამე თქვენი **ონისიმე.**

---

# დ ე პ ე შ ე ბ ი.

**ბაქო.** „დაქირავებულ მკვლელთა პროფესიონალურმა კავშირმა“ უკვე დაიწყო თავისი მოქმედება. ჯერ-ჯერობით ასხაბადში მოკლეს პაპოვი, რაიცა ძლიერ სასიამოვნოთ დარჩათ ზოგიერთა მდიდრებს.

**ფოთი** 19 თებერვალს ძველი მღვდელმთავრის წასვლის პატივსაცემლათ და ახალის მისაგებებლათ ადგილობრივ მღვდელთა მიერ დამშეულთა სასარგებლოთ გაიმართა „ლუკულის“ სადილი. წარმოითქვა მრავალი რეჩები. პრიზი მიიღო მღვდ. ბოჭოხიძემ.

**ქუთაისი.** ადგილობრივმა პოლიციამ თითქმის მოსპო ექსპროპრიაციები. დღეს მხოლოდ 17 კაცი გაძარცვეს ქუჩებში. ბევრი მათგანი თავ-გატეხილია.

**ბათომი.** ბათომის თავი ცარიელი დაბრუნდა პეტერბურგიდან. საფუთო გადასახადზე უარი უთხრეს.

**ბაქო** ცნობილი აქტიორი კოტე მესხი, რომელიც სუმბათოვის იუბილეიზე იყო გაგზავნილი, ერთ-ერთ რესტორანს 170 მანეთში დაუგირავებია. საჭიროა გამოსახსნელი თანხა. მივმართავთ ქართველ ქველმოქმედებს.

**თელავი.** 13 თებერვალს პანაშვიდი გადაიხადეს ქ ნ გოგნიევის საორსულო და ნინოს საქორწინო კასების სულის მოსახსენებლათ. ბლომათ დაესწრენ ჩარჩი დედაკაცები.

**შილდა.** შილდის თავ-მომწონე და ლოტოს მოსიყვარულე ქალები სამი დღეა კრებებს ახდენენ და საპასუხო წერილს წერენ შილდელი კორესპონდენტის წინააღმდეგ. ყველანი აღელვებულნი არიან.



თავისუფალი ვაჭრობა:



მოულოდნელი კრიზისი.

რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა", მიხეილ. პროსპ. 65.